196 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

ნელიწადი მესამე

ფასი 3 მან. სამშაბათი, აგვისტოს 31 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისთვის. აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაში) გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა განათებასაც. თხოვნები საბუთებით უნდა გადმოიგზავნოს ოზურგეთში, სამაზრო ერობის გამგეობაში.

866 5—1

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს

რომ ორშაბათს 6 ენკენისთვეს ამა წლის ქ. ბორჯომში სამმართველოს კანტორის ბინაზე დილის 10 საათზე

დანიშნულია ზეპირი შეჯიბრება

ლიკანის ბაღში ხეხილის მოსავლის იჯარით გაცემაზედ. შეჯიბრება დაიწყება 100.000 მანეთიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ ევალებათ სამმართველოს სალაროში წინ და წინ შეიტანონ ერთი მესამედი შეფასებულ თანხისა. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სამმართველოში.

868 3—1

სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელი ექსპედიცია ამით აცხადებს,

რომ მას აქვს დამზადებული ფერადი საღებავით **საქართველოს ღერბი** (თეთრი გიორგი) მათი შეძენა შეუძლია ყველას ექსპედიციაში (დამფუძნებელ კრების ქუჩა № 7). დაწესებულებებს ეს ღერბი დაეთმობათ ცალი 200 მანეთად.

2501 1—1

ოფიციალური განყოფილება.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბათომის განყოფილებას.

ცირკულიარი.

თანახმად რესპუბლიკის კანონებისა უნდა შიღებულ იქნეს სახელმძღვანელოთ ბათომის სასამართლოში შემდეგი:

1) ქალაქ ბათომში და მის ოლქშს ყოველი სასამართლო საქმე უნდა წარმოებულ იქნეს სახელმწიფო ენით.

2) ძველი დაწყებული საქმეები, რომელნიც არა-ქართულზე არიან ნაწარმოები უნდა დამთავრებულ იქნეს სახელმწიფო ენით. უკვე წარდგენილ საბუთების და სხვა ქალაქლების გადათარგმნა სავალდებულო არ არის. ამიერიდან—კი არასახელმწიფო ენაზე შედგენილი საბუთები უნდა წარმოდგენილ იქნენ თარგმანების დართვით სახელმწიფო ენაზე.

3) მომრიგებელ მოსამართლენი ვალდებულნი არიან საქმეების გარჩევის დროს იხელმძღვანელონ ენის ხმარების მხრივ მომრიგებელ მოსამართლეთა დებულების (იხ. კან. 66, 1918 წ. კრებული) 16—17, 18 მუხლებით.

4) უმცროსი ნოტარიუსების და საბირჟო ნოტარიუსის კანტორები ვალდებული არიან ენკენისთვის პირველიდან ყოველი საბუთები და აქტები აწარმოონ სახელმწიფო ენით.

5) არა სახელმწიფო ენაზე შედგენილი ძველი აქტების შემოწმება და ყოველი საქმის წარმოება უნდა შესრულდეს სახელმწიფო ენით.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

განკარგულებანი

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

31 ივლისი, 1920 წ., № 272.

დანიშნულია: აგრონომი ვასილ ფალავანდიშვილი ტფილისის სახელმწიფო კულტურტეხნიკურ საშუალო სასწავლებლის ინსპექტორად, ამა წლის აგვისტოს 1-დან.

31 ივლისი, 1920 წ., № 273.

თავისუფლება მიეცეს: სასოფლო მეურნეობის განყოფილების მდივანს დიმიტრი დეკანოზიშვილს ერთი თვის ვადით ამა წლის აგვისტოს 1-დან.

3 აგვისტო, 1920 წ., № 274.

ინიშნებიან: შავი-ზღვის პირს გადასახლების საქმის სარაიონო გამგის თანამდებობის აღმასრულებლად მიწის მზომელი ვარლამ პავლეს ძე ჩხენკელი თავის თანამდებობაზე დატოვებით და მარტო საგზაო და საკანცელარიო ხაჯების მიცემით, გადასახლების განყოფილების ბუხჰალტრათ აკევსიმე მელიტონის ძე თოფურიძე, პირველი ამა წლის 1 მაისიდან, ხოლო მეორე ამავე წლის 20 ივლისიდან.

5 აგვისტო, 1920 წ., № 275.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამინისტროს ბიბლიოთეკის გამგე მ. ი. ბეკერი, 1 აგვისტოდან, სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

27 ივლისი, 1920 წ. № 276.

თავისუფლება მიეცეს: სასოფლო მეურნეობის განყოფილების მემანქანე ნინო შმაკოვისას და თამარ გურგენიძეს 1-ს აგვისტოს 22 მდე, მე 2-ს 27-მდე.

6 აგვისტო 1920 წ., № 277.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყის ამწერი ტეხნიკი ა. მ. ბულინდანი, სამსახურის შეუფერებლობის გამო, პირველ აგვისტოდან 1920 წ.

№ 278.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყის გამგის თანამდებობის თანაშემწის აღმასრულებელი გ. ი. მახვილაძე, სამსახურის შეუფერებლობის გამო.

ინიშნება: სოლომონ ეფრემის ძე მუსხელიშვილი ტყის ვამგის თანაშემწეთ მეორე ხარისხით.

6 აგვისტო 1920 წ., № 279.

ინიშნება: საინსპექტორო განყოფილებაში მანქანაზე მბეჭდავათ ოლღა ეგნატეს ასული აღნიაშვილი 1 აგვისტოდან.

27 ივლისი, 1920 წ. № 280.

დანიშნულია: ვალენტინა ვაშაძე სასოფლო მეურნეობის განყოფილების რეგისტრატორად ამა წლის ივლისის 27-დან.

6 აგვისტო, 1920 წ. № 281.

გადაყვანილია: სახელმწიფო მამულთა განყოფილებიდან მემანქანე ელენე ავქსენტის ასული მეგრელიძე სასოფლო მეურნეობის განყოფილებაში იმავე თანამდებობაზე ამა წლის 28 ივლისიდან.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში ბუხალტერის თანამდებობაზე ზაქარია სიმონის ძე გოგვაძე ამა წლის 1 აგვისტოდან.

დანიშნულია: იმავე განყოფილებაში მემანქანეთ ქსენია გიორგის ასული ცერცვაძე ამა 28 ივლისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ამხანაგი **მალანია.**

სააქციზო სამმართველოს უფროსისა.

6 აგვისტო, 1920 წ., № 35.

დაინიშნა: ნავთის ნაწარმოების მოანგარიშეთ ნიკიფორე ქრისტესი ძე ანთაძე 6 აგვისტოდან 1920 წ.

№ 36.

მიეცეს შვებულება: ჯამაგირის შენახვით: 1) სააქციზო სამმართველოს ბუღალტერს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ნიკიტინს 4 აგვისტოდან 1920 წ. ორი კვირით და 2) რეგისტრატორს თამარა ირაკლის ასულს მიქაძეს 7 აგვისტოდან ერთი თვით.

9 აგვისტო, 1920 წ., № 37.

დაინიშნა: დროებით დამხედველად ბათომში იუსუფ ეფენდი კიკავა 11 აგვისტოდან 1920 წლისა.

10 აგვისტო, 1920 წ., № 38.

მიეცეს შვებულება: ჯამაგირის შენახვით 11 აგვისტოდან 1920 წ. 1) მანქანაზე ზე გადამწერს მარიამ დავითის ასულს კაჯირაშვილს 31 აგვისტომდე და 2) რეგისტრატორს თამარ კირილეს ასულს ღვთისავრიშვილს 2 ენკენისთვემდე 1920 წ.

სააქციზო სამმართველოს უფროსი
სპ. ბაქრაძე.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

26 ივლისი, 1920 წ.

გადამწესებულნი არიან: ყოფილი ზედამხედველი პოლიხრონ ნიკოლაიშვილი ახლათ ზედამხედველათ დაბალი ჯამაგირისა ბაშკიჩეთში; ყოფილი მექანიკოსი პავლე ტრუბინინი უუფროს მექანიკოსათ ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში: ყოფილი მოხელეები: გაბრიელ ალექსოვი, ანასტასია ზედელმერი, სიმონ გალუსტოვი, ალექსანდრე საპიცკი, ლუბა სოხაძე, ანნა ოვსებიანცი და მოქალაქე ბარბალე მესხი ახლათ მოხელეებათ: ალელოვი მეორე ხარისხით, ზედელმხეერი მეხუთე ხარისხით ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში; გალუსტოვი მეორე ხარისხით ტფილისის ფოსტაში, საპიცკი მეხუთე ხარისხით სოხუმში, სოხაძე მეექვსე ხარისხით ქუთაისში, ოვსეპიანცი-ახალციხეში, მესხი დიდი ჯიხაიშში; ყოფილი ფოსტალიონები: სავარია სარქისიანცი და გიორგი ასანიძე მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ სარქისიანცი აბასთუმანში და ასანიძე სოხუმში; ალელოვი პირველ ივლისიდან, ტრუბინინი 26 ივლისიდან, სიპიცკი და ოსეპიანცი 28 ივლისიდან, დანარჩენნი 1920 წლის პირველ აგვისტოდან.

დანიშნულნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ერმილე ხოშტარია, ოსეფ აგაბეკიანცი, თეთრ-წყაროსი ისაკ ჭელიძე, ფოთის ვასილ უჩამეიშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ იმავე კანტორაში; ხოშტარია-მეორეთი, აღაბეგიანცი და უჩამეიშვილი მეოთხეთი და ჭელიძე მეხუთე ხარისხებით.

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა მარტიროს ბაღდასარიანცი და ანნა ხიზანიანცი და ფოსტალიონები: სამტრედიის ზებეოე ოქროპირიძე, აბასთუმანის ლუკიანე დგებუაძე, ჯავის იუსტინე მაჭარაძე და გომბორის სერგო მარქარიანცი იმავე წოდებებით თანახმად თხოვნებისა; ბაღდასარიანცი დუშეთში, ხიზანიანცი ახალციხეში, დგებუაძე სოხუმში, მაჭარაძე სამტრედიაში, მარქარიანცი თელავში და ოქროპირიძე ჯავაში ყველა 1920 წლის აგვისტოს პირველიდან.

დათხოვნილია სამსახურიდან: თელავის ფოსტალიონი კუხალაშვილი თავის ნებით სამსახურის თავის დანებებისათვის 1920 წლ. 30 ივლისიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

სავალდებულო დადგენილება

შინაგან საქმეთა სამინისტრო შემდეგს აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ; ვინაიდან რასპუბლიკის საზღვრებში უცხოეთის ვალიუტაზე კურსის დაწესება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში შედის, ამიტომ ეკრძალება ყველას, როგორც პრესასა, ისე კერძო პირებს უცხო ვალიუტაზე კურსის დაწესება და კურსის შესახებ პრესისა თუ სხვა რამის საშუალებით ცნობების გამოცხადება. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაპატიმრებულნი იქნებიან 3 თვით.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი
ბ. ჭიჭინაძე.

სურსათ-სანოვაგის თავისუფალი-გადატან-გადმოტანა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა ერობას შემდეგი ცირკულიარით მიმართა: თანახმად მთავრობის მიერ შემუშავებულ სასურსათო გეგმისა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, გარდა სიღნაღის, თე-

ლავის და გორის მაზრებისა, სურსათ-სანოვაგის თავისუფალი გადატან-გადმოტანა ნებადართულია. თანახმად სამინისტროს ხელში არსებულ ცნობებისა მთავრობის ასეთი დადგენილება ზოგიერთ მაზრებში არ სრულდება რაც არა საეურველ გაუგებრობას და მცხოვრებთა შეიწროებას იწვევს. დაუყონებლივ უნდა მოახდინოთ განკარგულება, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სურსათ-სანოვაგის ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში გადატანას ხელი არ შეუშალოს.

მთავრობაში

უკანასკნელი დადგენილებანი ჯარის კაცების სასჯელისაგან განთავისუფლებისა

მთავრობამ დაადგინა განთავისუფლება სასჯელისაგან იმ ჯარის კაცებისა, რომლებიც ბოლშევიკურ გამოსვლებისათვის სამართალში იყვნენ მიცემული, მაგრამ შემდეგ სამხედრო ნაწილებში ყოფნის დროს თავის მოვალეობის სამაგალითოდ ასრულებდნენ.

ახალციხის ერობა

მთავრობამ დაადგინა: ახალციხის სამაზრო ერობას გადასცეს სამაზრო მილიცია.

დახმარება

მთავრობამ დაადგინა: გადამდებ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში გაოდაცვლილ ფერშალს ს. კანდელაკის ოჯახს მ.სცეს 10.000 მან. დახმარების სახით.

შრომის სამინისტროს მთავარ ინსტრუქტორს

მთავრობამ დაადგინა: ზედმიწევნით მუყაით მუშაობისათვის მიეცეს ტრეიმანს ერთდროული ჯილდო.

შინაგ. საქმ. სამინისტროში

ციმბირის ჭირი—„ეპიზოსტია“ აფხაზეთში.

აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარე შინაგან საქმ. სამინისტროს აცნობებს, რომ აფხაზეთში გაჩდა ციმბირის ჭირი, ეგრედ წოდებული „ეპიზოსტია“. სენის საბრძოლველად საჭირო ზომების მიღებას მოითხოვენ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის კომისარიატს საჭირო მედიკამენტები გაუგზავნა.

დეზერტირების წინააღმდეგ.

ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ ხსენებულ მაზრაში დეზერტირობამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ეს გარემოება ხელს უწყობს მაზრაში ყაჩაღების გამრავლებას და მათ თარეშს. ამიტომ წესიერების დასაცავად ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ სამინისტრომ ზუგდიდის მაზრას აღმოუჩინოს დახმარება და საჭირო შეიარაღებული ძალა გაუგზავნოს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობის თხოვნა დააკმაყოფილა.

ბორჩალოს მაზრის დეპუტაცია

ბორჩალოს მაზრის მთელი რიგი სოფლების დელეგაციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა ზოგიერთ სოფლების გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. ამის მიზეზი, მათი განცხადებით არის ის, რომ ბევრმა არა სასურველ ელემენტმა მოიკალათა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში და თითქმის ყოველ დღე ესხმიან მშვიდობიან სოფლებს: გორუმჯიკის, ვარდისუბანს, ბოლნი ხაჩინს, ჯალ-ოღლის და თარალეთს. ასეთი თავდასხმა უკანასკნელ დროს გახშირდა. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში მცხოვრებლებს წაართვეს 2.000 სული საქონელზე მეტი და რამოდენიმე ათეული გლეხი სრულიად გასცარცვეს. ადგილობრივი მილიცია და გვარდია ამ ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას ენერგიულად აწარმოებს, მაგრამ ეს ძალები საკმარისი არ არის. დელეგაცია სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიიღოს ჩვეულებრივი ზომები და დაიხსნას მშვიდობიანი მოსახლეობა ყაჩაღთა ბანდებისაგან.

ყაჩაღთა თარეში და მათი შემნახველები

შორაპნის მაზრის და ქუთაისის ციხეებიდან გამოქცეული ყაჩადები შალიკო ნებიერიძე, საშა წერეთელი, ნესტორ ნებიერიძე, ჭუმბაძე და ჩუბინაძე შორაპნის მაზრის მილიციის კვლევა-გამოძიებიდან აღმოჩნდა რომ ამ დასახელებულ ყაჩაღებს პატრონად და მფარველად ყოლია ვინმე ილიკო ჩიხლაძე თავისი ცოლი შუშანიკათი. ამ პირებს ხსენებულ ყაჩაღებისათვის სისტემატიურად დახმარებას უწევდნენ. ილიკო ჩიხლაძე თავისი ცოლით შორაპნის მილიციის უფროსის მიერ დაპატიმრებულნი და სამართალში არიან მიცემულნი.

ერობათა და ქალაქთა კავშირის ბიურო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო იმის შესახებ რომ, თანახმად აფხაზეთის ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელთა პირველ ყრილობის დადგენილებისა, სოხუმში შემდგარა ერობათა და ქალაქთა კავშირების ბიურო, რომელსაც მოქმედება დაუწყია.

სახ. განათ. სამინისტროში

ბათომის გიმნაზია

მომავალ სასწავლო წლიდან ბათომის გიმნაზიის ძირითად ქართულ კლასებთან გაიხსნება რუსული პარალელი კლასები, სადაც მოთავსებული იქნებიან ყოფილი რუსული გიმნაზიის მოწაფენი. ამისთვის გამორკვეულ უნდა იყოს მოწაფეთა რიცხვის რაოდენობა, რადგან თუ საკმაო რიცხვი მოწაფეობისა არ აღმოჩნდება პარალელული რუსული კლასები აღარ გაიხსნება და მოწაფეებს წინადადება მიეცემად ტფილისში გადასვლისა, სადაც არსებობს რუსული პარალელი კლასები. მომავალ წლიდან გიმნაზიასთან მოსამზადებელი კლასები არ იქნება. მოწაფეები გადაყვანილი უნდა იყვნენ ქალაქის დაწყებითი სკოლაში. გიმნაზიის მეხუთე კლასთან განზრახულია გაიხსნას საკომერციო განყოფილება. ამ საკითხის გადაწყვეტა დავალებული აქვს რესპუბლიკის საპროფესიო და საჯვნიკო სკოლების მთავარ გამგეს. მომავალ წლიდან ქალთა გიმნაზია ცალკე იქნება გამოყოფილი. სწავლა და გამოცდები ბათომის გიმნაზიაში დაიწყება 8 და 15 ენკენისთვის, როგორც ტფილისის გიმნაზია-სასწავლებლებში.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შუამდგომლობა.

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობას განზრახული აქვს ამავე საზოგადოების შენობაში გახსნას წინდის საქსოვი განყოფილება, რისთვისაც გამგეობამ უკვე საჭირო ზომები მიიღო საქსოვ მანქანების შესაძენათ. გამგეობის გამოანგარიშებით დღეში შეიძლება მოიქსოვოს სამასი წყვილი წინდა. ეს ქსოვა ეკონომიურ საზოგადოებას დაუჯდება ძალიან იაფად და საშუალებასაც მისცემს როგორც თავის წევრთ ისე სახელმწიფო დაწესებულებებს მოსამსახურეთაც ბაზართან შედარებით იაფ ფასებში მიაწოდოს წინდები. ამ მიზნით ოფიცერთა ეკონომიურმა საზოგადოება მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ ხსენებულ საზოგადოებას დაეთმოს იაფ ფასებში ძაფები და სხვა ამისთვის საჭირო მასალა. მიწად-მოქმედების სამინისტრომ ოფიცერთა საზოგადოების შუამდგომლის დაკმაყოფილება მიანდო ბინა-მრეწველობის განყოფილების გამგეს.

როშის და კუშნირის მაუდის ქარხნების ამუშავება.

როშის და კუშნირის მაუდის ქარხანა, რომელიც პლეხანოვის პროსპექტზეა მოთავსებული, მინდობილი ჰქონდა ინჟინერ ბრაილოვსკის. ინჟენერ ბრაილოვსკიმ ქარხნის დათვალიერების შემდეგ განაცხადა რომ ხსენებული ქარხანა არ მუშაობს საჭირო მასალის და მანქანების უქონლობის გამო. ამისთვის საჭიროა მანქანების შეძენა, როგორც მაგალითად დაზგები და სხვა ტეხნიკური იარაღები. მიწად-მოქმედების სამინისტრომ ამ საქმის გამორკვევა მიანდო შინა მრეწველობის განყოფილების გამგეს, რომელსაც ევალება ხსენებულ მექარხნეებთან გამართოს მოლაპარაკება ქარხნის შეძენაზე და მისი ფასის რაოდენობაზე.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ინგლისი და პალესტინას საკითხი.

„დეილი ქრონიკლი“ ბეჭდავს ლორდ სიდელგამის ცნობებს პალესტინის მდგომარეობის შესახებ. ეს ცნობები მან თემთა პალატაში გამოაქვეყნა. მისი ცნობით სიონისტთა ნაციონალისტური პოლიტიკა არაბებს ოსმალეთის ბატონობის დაბრუნების მონატრეთ ხდის. უმცირესობა, რომ არ ბატონობდეს, ამისათვის საჭიროა პარლამენტის მოწვევა პროფესიონალურ საფუძველზე. ლორდ ბალფურმა უპასუხა, რომ მოკლე ხანში პალესტინის მართვა-გამგეობა გადავა დიდ ბრიტანეთის წარმომადგენელთა ხელში და ამგვარად პალესტინა განთავისუფლდება უმცირესობის ბატონობისაგანო.

ამერიკა და რუსეთი.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება: შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა რომში მყოფთ თავის ელჩს აცნობა, თუ რა პოზიცია უკავია ამერიკას რუსეთის საკითხში. ამერიკის ხალხი მიესალმება რუსეთის ხალხს და მზადაა მხარი დაუჭიროს მას თავისუფლებისათვის ბრძოლასა და რუსეთის შეერთებულ შტატების შექმნაში, ამერიკის მთავრობა რუსეთს მხარს დაუჭერს ტერიტორიის ხელშეუხებლობის საკითხშიაც, მაგრამ წინააღმდეგი გახდება მის მიერ სხვა ერთა ტერიტორიის დაკავებისა, როგორც მაგალითად ეხლა ის სცდილობს პოლონეთის ტერიტორიის დაკავებას. საბჭოების მთავრობის შესახებ თავის აზრის გამოთქმაზე ამერიკა ჯერ თავს იკავებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ბალშევიკურ მთავრობას ის არ იცნობსო.

არეულობა დანცინგში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით დანცინგში დიდი არეულობაა. მუშები გამოვიდენ და პროტესტი განაცხადეს ცხოვრების გაძვირების გამო. საღამოს დემონსტრაციამ პოლონეთის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. გერმანელი მუშები თავს დაესხენ პოლონელ ოფიცრებს და ჯარისკაცებს. თავს დაესხენ აგრეთვე ინგლისელ ოფიცრებსაც. პოლონეთის მთავრობამ კატეგორიულად განაცხადა, თუ გერმანელმა მუშებმა ასეთი მოქმედებანი არ შესწყვიტეს და იარაღი არ დაჰყარეს, იმ შემთხვევაში დანცინგი დაიმშევა, ოდგანაც ქალაქს პოლონეთიდან სურსათს არ მივაწვდითო.

ერთა ლიგა და საერთაშორისო ტრანზიტის საკითხი.

ერთა ლიგის საბჭომ იმსჯელა საერთაშორისო ტრანზიტის მოწყობის შესახებ. დაარსეს სპეციალური საერთაშორისო კომისია ტრანზიტის მოსაწესრიგებლად, სადაც შედიან ყველა ლიგაში მონაწილე სახელმწიფოების ტეხნიკურ საქმის მრჩევლები. ამ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს საერთაშორისო ტრანზიტის წესდება. კომისიას შემდეგი სხდომა ექნება ბარსელონში. კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან გერმანიის, ავსტრიის და ბულგარეთის წარმომადგენლებიც. მათ სათათბირო ხმა ექნებათ.

(გაზეთებიდან).

მ. გორკი და ბოლშევიკების ვანდალიზმი

გაზეთ „ბოსფორს“ ჰელსინფორსიდან მიღებულ ცნობას მაქსიმ გორკის შესახებ ამნაირად აგვიწერს: რუსეთის დიდებული მწერალი მეტად გულდაწყვეტილი და უიმედობით შეჰყურებს რუსეთის მომავალს. მაქსიმ გორკის აზრით რუსეთის ნგრევა არ კი თავდება, არამედ უფრო ძლიერდება. ბოლშევიკები ძირ-ფესვიანად შლიან რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებას. ისეა განადგურებული ყოველივე რომ მისი აღდგენა და განახლება არ მოხდება ერთ საუკუნეზე ადრე. ანგრევენ სახლებს, აფუჭებენ სახალხო ნივთებს. აღარ მოიპოვება უბრალო ხეც კი რომ ბუხარში შესდო და ცეცხლი აანთო. რაც კი რამ საფასური და ძვირფასი იყო დღეს არაფერი არაა. უსურსათობამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩაგდო ხალხი. მ. გორკის ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტთან ჰქონია საუბარი და მწერალს მეტად პესიმისტიური აზრი გამოუთქვამს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობაზე.

მოსკოვი და ბერლინი.

მოსკოვ ბერლინის შუა ამ ჟამად უკვე სატელეგრაფო კავშირი არის გაბმული. მოსკოვიდან ტელეგრაფის გაგზავნა უნდა დართულ იყოს ტელეგრაფის კომისარის მიერ.

წითელ არმიელთა აჯანყება.

მოსკოვის საბჭოთა პოლკმა, რომელიც ალექსანდროვკას პოზიციებს იჭერდა, წითელ არმიის მთავარ სარდლობას წაუყენა მოთხოვნილება, რომ ისინი გაგზავნილ იყვნენ უკანვე განაპირა ადგილას, რადგანაც მათ უკვე ეს სამოქალაქო ომი ძმათა სისხლის ღვრად მიაჩნიათ. სარდლობამ მათი თხოვნა არ შეიწყნარა და კომუნისტების კომანდამ ტყვიის მფრქვეველით შემოარტყა ალყა აჯანყებულ საბჭოთა პოლკს. რადგან 24 საათის განმავლობაში წითელ არმიელებმა არ დაყარეს იარაღი და თავიანთ წინადადების შესრულებას თხოულობდენ მთელი პოლკი კომუნისტების მიერ გაჟლეტილი იყო. მსხვეპრლი აუარებელი არის, რადგან წინა დღით ეს პოლკი შევსებული ყოფილა საბჭოთა ჯარით.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული პრესა.

პოლონელების იერიშები-

ლონდონიდან მოსული დეპეშა პოლონელების მიერ შჩუჩინისა და პოსტკანის აღების შესახებ იუწყება. იუწყებიან აგრეთვე, რომ პოლონელების ჯარების მიერ ბოლშევიკების ორი ლაშქარი გარშემორტყმულია.

ინგლისი და საბჭოთა მთავრობა.

ინგლისის ულტიმატუმის საპასუხოთ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი აღარ მოითხოვს პოლონეთში მუშათა მილიციის შექმნას.

ვრანგელის გამარჯვება.

კონსტანტინოპოლიდან მოსული დეპეშები თავრიდის გუბერნიის ჩრდილოეთით ვრანგელის დიდ გამარჯვებაზე იუწყება.

ჩეხო-სლოვაკია და საფრანგეთი.

პრაგიდან იუწყებიან, ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია გაემგზავრა პარიზს საფრანგეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებადო.

ხალხთა ლიგის სხდომა.

გაზეთი „პტი პარიზიენის“ ცნობით ხალხთა ლიგის საბჭო 15 სექტემბერს შეიკრიბება პარიზში. მისი მიზანია სინენის და მალმედის საკითხების გარჩევა.

ზავი ბოლშევიკებთან.

გენერალმა ვეიტანმა „პტი პარიზიენის“ კორესპონდენტს ვარშავაში განუცხადა, იმედია ბოლშევიკებთან ზავი ზამთრამდე შეიკრასო.

ოსოვეცის აღება.

პოლონელები შეტევას განაგრძობენ, მათ ოსოვეცი აიღეს.

პოლონელების დელეგაცია.

პოლონეთის დელეგაცია მინსკში განაგრძობს მუშაობას, ის ინსტრუქციები, რომლებიც დელეგაციას პირველად მიეცა, მიუხედავად პოლონეთის გამარჯვებასა შეუცვლელი დარჩა. პოლონეთის ჯარები პინსკის მეტად გამაგრებულ ხაზზე გაჩერდებიან. ეს ხაზი რუსეთიდან 100 ვერსზე იმყოფება. უკანასკნელი სამხედრო ცნობების მიხედვით ბოლშევიკები იხევენ უკან ლვოვის რაიონში, სადაც მათი მხრით კონტრ შეტევა არის მოსალოდნელია. პოლონელები აცხადებენ, რომ მათ ხელთ იგდეს 80000 ტყვე ჯარის კაცი და ბოლშევიკების არტილერიის ორი მესამედი.

ვრანგელის მთავარი შტაბის ცნობა.

ვრანგელის მთავარი შტაბი ნოვოროსიისკის და ეკატერინოდარის აღების შესახებ იუწყება.

ბრიტანეთის ელჩი.

ბრიტანეთის ელჩი აბერნონი ბერლინში დაბრუნდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

წითელია გაქცევა ფრონტიდან.

წითლების დიდი ნაწილი ფრონტიდან ლიტვაში გაიქცა. აქ ბოლშევიკები დააკავეს და გაანიარაღეს.

დანციგის საკითხი.

დანციგის საკითხის შესახებ მოკავშირეთა შეხედულობაში სრული ცვლილება მოხდა. პოლონეთის ემიგრანტებს, რომლებიც ლიტვაში დააკავეს, გამოსვლის ნება დართეს.

სოფლეთში

ერევანი. თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის სავალდებულო დადგენილებისა, ყველა აისორს 26 დან 32 წლამდე ჯარში იწვევენ.

ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულება სომხეთის დიდა ქალაქმა ბრწყინვალედ იდღესასწაულა. აგვისტოს 20, გაიმართა სადღესასწაულო აღლუმი, აღლუმის შემდეგ გაერთიანებულ სომხეთის გამო დიდი მანიფესტაციები გაიმართა. მთავრობის თავმჯდომარემ ჯარს და ხალხს მიმართა სიტყვით, რომელშიაც ახსნა მან ხელშეკრულების მნიშვნელობა სომხეთის მომავლისათვის. თავის სიტყვაში პრეიმერმა სომხეთის სახელით მოკავშირეებს მადლობა გადაუხადა. ამერიკის მიმართ

სამადლობელი სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე პროფესორი ქალანთაროვი, რომელსაც ამერიკის დახმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ვიკრიამ უპასუხა. ეროვნული ზეიმის გამო დაპატიმრებული ადმინისტრატიულ წესით გაანთავისუფლეს.

საგანგებო სასამართლომ 9 ბრალდებულის შესახებ, რომელთაც სომხეთში გადატრიალების მოხდენის და საბჭოთა მართვა გამგეობის დაწესება ბრალდებოდათ, განაჩენი გამოიტანა. ბრალდებულნი სასამართლომ დამნაშავეთ იცნო და სხვა და სხვა ვადით ზოგს საკატორღო მუშაობა და ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

ყურძნის მოსავალი სომხეთში არ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრ ადგილას ვენახების რულიად მოისპო.

ახალი ამბები

✦ გენერალური შტაბი აცხადებს, რომ ყველა 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებული სათადარიგო ჯარის კაცთ, რომელნიც დათხოვნილნი არიან ჯარის ნაწილებიდან ორი თვის შვებულებაში და რომელთაც ხელში აქვთ ამის კანონიერი მოწმობა უფლება აქვთ შევიდენ სამსახურში სხვა და სხვა სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო დაწესებულებებში, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი მხოლოდ დროებით არიან განთავისუფლებულნი სამხედრო სამსახურიდან.

✦ სპეკულიაცია ვალიუტით. ს. ლ. ავალიანმა დეპეშათა სააგენ. თანამშრომელს ვალიუტაზე სპეკულიაციის შესახებ შემდეგი განუცხადა; რესპუბლიკაში ცხოვრების და ვალიუტის გაძვირება მსოფლიო კრიზისის შედეგია. ამ კრიზისით ყოველი ავანტიურისტი სარგებლობს. სახელმწიფო ბანკს მიენდო გადამწყვეტი ზომების მიღება ვალიუტაზე სპეკულიაციის საწინააღმდეკოდ. ვალიუტის გაძლიერება სპეკულიანტების წინააღმ. დეგ უკვე გადამჭრელ ზომებს იღებენ. აგვისტოს 27 დააკავეს მრავალი პირი, რომელიც ვალიუტით სპეკულიაციას ეწეოდა. ასეთ პირებისაგან რესპუბლიკა გაიწმენდება. დააკავეს 40 სპეკულიანტი, რომელთაც ჩამოართვეს დიდძალი ოქროულობა, ბრილიანტები და უცხოეთის ვალიუტა.

✦ ვაჭრობა საქართველოსა და ჩეხიას შორის. საქართველოს და ჩეხის საექსპორტო და საიმპორტო ამხანაგობამ გამოაქვეყნა თავისი სავაჭრო მოღვაწეობის გეგმა. ამხანაგობა აღნიშნავს, რომ მათი მიზანია შეაკავშირონ შუა აღმოსავლეთის მდიდარი ცენტრი საქართველო—საშუალო ევროპის კულტურულ ცენტრ ჩეხო-სლოვაკიასთან. ამხანაგობა სცდილობს დაამყაროს რეგულიაორული და იაფი სავაჭრო ტრანსპორტი და გზა ევრთა მიმოსვლა საშუალო ევროპასა და აღმოსავლეთს შორის. ამხანაგობის მიზანს სხვათა შორის, შეადგენს აღმოსავლეთში ტურიზმისა და საკურორტო საქმის განვითარება.

✦ მ. დუნდუას ქუთაისის საქალაქო გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 8-დან. ვაკანსია არის პირველიდან მეექვსე კლასამდი. თხოვნების მიღება ყოველ დღე სწარმოებს, დილის 9—2-საათამდი.

✦ სამუნიციპალო წიგნი. ჭიათურის ქალაქის საბჭომ დაადგინა: აგებულ იქნას სამუნიციპალო წიგნი; ამ საქმის მოსაწყობათ გადაიდო ქალაქის გამგეობის განკარგულებაში ხუთასი ათასი (500000) მან.

✦ ხაოლქო სასამართლო ბათომში. ბათომში ქუთაისის საოლქო სასამართლოს განყოფილება გაიხსნა.

✦ მუშათა დელეგაცია. რუსეთში მიმავალი მუშათა დელეგაცია ამთავრებს იმ მასალების დაწყობას, რომლებიც მას საბჭოთა რუსეთში მიაქვს. დელეგაცია ტფილისიდან მოსკოვს კავკავით მიემგზავრება.

✦ ახალი საბაჟოები. რაჭის მაზრიდან დაბრუნებული საბაჟო განყოფილების უფროსი მიქაძე ონში ახალ საბაჟოს გახნის შესახებ იუწყება. საბაჟოს საშუალებით ნებადართულია სხვა და სხვა საქონელის გატანა, გარდა მედიკამენტებისა. ონი არჩეულ იქნა საბაჟოსათვის იმ მოსაზრებით, რომ ონის რაიონში იყრის თავს ყველა გზა, რომლებიც კი მამისონის ულელტეხილიდან მოდის. ამ საბაჟოთი საქართველოში შემოვა შალი, ნაბადი, ცხვრის ტყავი, ჯაგარი, ხალიჩები და სხვა ნედლი მასალა. საქართველოდან კი მანუფაქტურას და სხვა საქონელს გაიტანებენ.

✦ ფინანსიური - ეკონომიური თათბირი. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სამხედრო მინისტრის გრ. ლორთქიფანიძის განკარგულებით ამა წლის სექტემბრის საღამოს 6½ საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ფინანსიურ ეკონომიური თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან მთავრობის, დამფ. კრების პრეზიდიუმის დამფ. კრების საბიუჯეტო კომის. პრეზიდიუმის, წევრები, ქალაქთა და ერობათა კავშირების წარმომადგენლები, სახელმწიფო და კოოპერატიულ ბანკების გამგეობანი, კოოპერატიულ კავშირის და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები და სხვანი.

✦ პროფესიონალური კავშირების საბჭოს სეკრეტარიატში. სეკრეტარიატში პროფესიონალურ კავშირების საბჭოს, სეკრეტარიატის ტ სახალხო უნივერსიტეტის საერორგანიზაციო კომისიის შეერთებული სხდომა შესდგა. კომისიის თავმჯდომარემ კონიაშვილმა უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა. მოხსენებაში აღნიშნულია: საქმის უკეთესად მოსაწყობად საჭიროა, რომ უნივერსიტეტის მმართველობა დაინტერესებულ ორგანიზაციების ხელში გადავიდეს. ასეთი ორგანიზაციები არის სახალხო განათლების სამინისტრო, ქალაქის თვითმართველობა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლექტორთა კოლეგია. თათბირმა პროექტი სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ დაამტკიცა.

✦ მფრინავ კილტავა-დლუპვა. აგვ. 28, დილის 6 საათზე, სასწრაფო ფრენის დროს სამხედრო მფრინავი ლეიტ. კილტავა აპარატთან ერთად გამოურკვეველი მიზეზის გამო 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ჩამოვარდნის დროს მფრინავი მძიმედ დაშავდა. საღამოს 6 საათზე პროფ. ტოხონოვიჩმა ფეხი მოჭრა კილტავას. დაახლოვებით 7 საათ. სისხლის დაქცევის და საერთო სისუსტის გამო კილტავამ გრძნობა დაკარგა და გარდაიცვალა. გარდაცვალებულმა ამ მოკლე ხანში დაასრულა ფრენოსნობის სკოლა. იგი დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. კილტავას საინჟენერო ჯარში იცნობდენ, როგორც საუკეთესო ოფიცერს.

ინგლისი და საქართველო

ტფილისს ლონდონიდან ჩამოვიდა საქართველოს რესპულიკის წარმომადგენელი, ლონდონთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობის მიზნით გაგზავნილი ა. ქავთარაძე. ლონდონში ამ უკანასკნელმა ექვს თვეს დაჰყო. ჩემი მიზანი იყო, სთქვა ქავთარაძემ, მოვეწყო ზოგიერთი საქონლის ხარბალზე გადაცვლა. ყოველი საქონელი რომელიც კი მე საქართველოდან გავიტანე, გარდა თამბაქოსი, ჩვენთვის სასურველად გავასაღე. თამბაქოს გასაღებას ცოტა უნდა დავაგვიანოთ, რადგან არა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა და ხელოვნურად დაიწია მისმა ფასმა. ა. ქავთარაძის სიტყვით ეხლა ლონდონი შეიქმნა მთელი ქვეყნის პოლიტიკურ და სავაჭრო ცხოვრების ცენტრად და ქვეყნიერების ტერმომეტრს წარმოადგენს. თვით იაპონიაც კი ანგარიშს უწევს ლონდონის ბაზარს. ინგლისი დაინტერესებულია საქართველოს ბაზრით და საქართველოს რესპუბლიკის მომენტის ძირითად საკითხს უნდა წარმოადგენდეს ვალიუტის გაუმჯობესება. თუ ვალიუტა გაუმჯობესდა, ინგლისის ბაზარზე ჩვენ შედარებით იაფად ვიყიდით საქონელს. უნდა მოეწყოს საქართველოს ნედლი მასალის უცხო ბაზარზე გატანა, მათ ძლიერ აინტერესებთ საქართველოს ხე-ტყე, სპილენძი, თამბაქო და მარგანეცი. ამ ბოლო დროს ლონდონში ბევრად გაუმჯობესდა ინფორმაცია საქართველოს შესახებ ყველა ღირს შესანიშნავი მოვლენა 1—2 დღის შემდეგ იბეჭდება გაზ. „ტაიმს“-ში. თავის დროზე შეტყობინებული ამბები კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ევროპის საზოგადოების საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე.

ერობა

ერობათა კავშირის შუამდგომლობა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა მომარაგების სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით ნეიტრალურ ზონაში მანუფაქტურისა და სხ. საქონლის გატანის უფლების დართვის შესახებ. კომიტეტის მიზანია ამ გზით ნეიტრალურ ზონაში მატყლის შესყიდვა.

სოხუმში.

(საკუ. კორესპ.) სოხუმის ოლქის ქალაქთა და ერობათა წარმომადგენლების ყრილობის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გელოვანი, ჯანჯღავამ ქალაქთა და ერობათა მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა. მომხსენებელმა მიუთითა სამურზაყანოს ბუნებრივ სიმდიდრეზე და აღნიშნა, რომ ეს სიმდიდრე ტეხნიკურად გამოცდილ ძალების უქონლობის გამო არ მუშავდება. ერობას ამდენხანს არ ქონია შემოსავლის განსაზღვრული წყარო, ამიტომ მან მომავალში მხარის სიმდიდრის ექსპლოატაცია გადასწყვიტა. პირველად ყოვლისა განზრახულია ტყის ექსპლოატაციის დაწყება. ერობას ამ მხრით მიწათ-მოქმედების სამინისტრო დაეხმარა. განზრახულია აგრეთვე მადნეულობის დამუშავებაც. მიუხედავათ ზოგიერთ დაბრკოლებისა სამურზაყანოს ერობამ ადმინისტრატიული აპარატი მაინც კარგად მოაწყო. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მაზრაში ყაჩაღობის მოსპობა. შეეხო რა აგრარულ რეფორმას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერობა ჯერ-ჯერობით რეფორმის პირველ ნაწილს განხორციელებს, ესე იგი მიწების ჩამორთმევას აწარმოებსო. აგრარულ რეფორმას მცხოვრებნი თანაგრძნობით უყურებენ. მაზრის სასურსათო მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელია. ფუთი სიმინდი 300 მან. ღირს. სიმინდის გასაიაფებლად ზომები არის მიღებული. ერობამ სოფლის სასურსათო კომიტეტი გახსნა. მოსავალი საშუალოზედ მეტია. ყურძნის მოსავალი საუკეთესოა. სკოლაში გახსნილია 50 პირველ დაწყებითი და 3 უმაღლესი სკოლა. სკოლის ქსელის გავრცელებას მცხოვრებლები თანაგრძნობით ხვდებიან. საერთოდ ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი სასკოლო განათლებას ხმარდება. მაზრაში სულ 60,000 მცხოვრები ითვლება.

ერობათა მოქმედება.

ტფილისში ერობათა კავშირის სავანგებო კომისია დაბრუნდა. მას სამაზრო ერობის მოქმედების შესწავლა ჰქონდა დავალებული. კომისია არა მარტო სამაზრო ერობის, არამედ ზოგიერთ თემების მოქმედებასაც გაეცნო. კომისიის განსაკუთრებული ყურადება ახალციხის სამაზრო ერობამ მიიპყრო. ამ ერობამ მხოლოდ მიმდინარე წლის დასაწყისში დაიწყო მოქმედება. ამ მაზრის მცხოვრებლები შედარებით ჩამორჩენილნი არიან. 6 თვის განმავლობაში ახალციხის ერობამ შესძლო თავის აპარატის მოწყობა, თუმცა სასკოლო და ადმინისტრატიული საქმე კიდევ არ არის მის გამგებლობაში. ახალციხის სამაზრო ერობამ შეიძინა ხე-ტყის სახერხი ქარხანა და იმედი აქვს ამ ქარხნის მოკლე ხანში ამუშავებისა. ეს ქარხანა რესპუბლიკაში საუკეთესოდ ითვლება. ერობას იმედი აქვს, რომ აგრარულ რეფორმას სულ მოკლე ხანში დაასრულებს, ჯერ-ჯერობით ერობას სურს მიწის ფონდის გამოკვლევა. შემდეგ იგი უკვე ამ მიწების დარიგებას შეუდგება. თანახმად კომისიის ცნობებისა, კარგად მოქმედებს აგრეთვე ვორის სამაზრო ერობა: სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული სასკოლო ადმინისტრატიული და სხვა საქმეები. ვორის სამაზრო ერობა მცხოვრებთა სამეურნეო ცხოვრებას იკვლევს და ღარიბებს შესაფერ დახმარებას უწევს.

მუნიციპალ. ცხოვრება

ქალაქის ფინანსები

ტფილისის ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელმა კონიაშვილმა საქართვ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ქალაქის ფინანსები შემდეგნაირად დაახასიათა: წყალზე და ტრამვაიზე ფასის აწევით ქალაქს არ უნდა მოგება. ერთადერთი მიზანი რომლისაკენაც მიისწრაფის ქალაქი, ეს არის ქალაქის უდეფიციტო წარმოება, მიუხედავად წყალზე ტარიფის გადიდებისა ქალაქს წყლის ექსპლოატაცია მაინც უფრო ძვირი უჯდება, ამიტომ ქალაქის წყლის ოპერაციაში არა ნაკლებ ათი მილ. მან. დეფიციტს მოელის. ტრამვაიზე ტარიფის გადიდება აუცილებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების მდგომარეობას საფრთხე მოელოდა. კონიაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის გამგეობას განზრახული აქვს ქალაქის უბნებში სახლების შენება ფართო მასშტაბში მოაწყოს. განზრახულია მთელი რიგი იაფფასიანი სახლების აშენება.

ქუშათა ცხოვრება

სურსათი მუშებს

ტფილისის მუშათა მაგიდა აცხადებს, რომ სექტემბრის 1 მუშათა წარმომადგენელებმა პურის მიღების ორდერთან ერთად უნდა იქონიონ რწმუნებულება ჯგუფისაგანო. მელითონეთა კავშირის გამგეობამ სთხოვა შრომის და მომარაგების სამინისტროს, რომ მუშათა მაგიდიდან სურსათი მიეცეს წვრილ სამრეწველოების მუშებსა და წისქვილებში მოსამსახურეთაც. მელითონეთა პროფ. კავშირმა კატეგორიული ჭარი სთქვა მოგების წილში მუშების შეყვანაზე. ის წინადადება წამოაყენა ქალაქთა კავშირის მექანიკურ სახელოსნოს ადმინისტრაციამ შრომის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად. კავშირი უარის თქმას იმით ასაბუთებს, რომ ეს დამღუპველად იმოქმედებს მუშებზე და მათ ორგანიზაციულ ოჯახში უთანხმოებას შეიტანსო.

სასურსათო ცხოვრება

ბრძოლა სპეკულიაციასთან.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში იუწყებიან, რომ განზრახულია სპეკულიაციასთან საბრძოლველად კატეგორიულ ზომების მიღებაო. რომ უკეთესად მოეწყოს ბრძოლა სპეკულიანტებთან განზრახულია ადგილობრივ თვითმართველობათა უფლებების გაფართოვება. მათ უნდა ექნეთ უფლება ადმინისტრატიულ წესით სპეკულიანტების პასუხისგებაში მიცემისა. ამასთანავე სასურსათო განყოფილება იღებს ზომებს, რომლებმაც ბაზარზე უნდა მოახდინოს გავლენა. ეს გამოიხატება მცხოვრებთათვის პირველ საჭიროების საგნების მიწოდებაში. განზრახულია ქალაქის სასურსათო მაღაზიების რიცხვის გადიდება. ამ მაღაზიების მიზანია იქონიოს გავლენა ბაზარზე ნორმალურ ფასების დაწესებაში. სასურსათო განყოფილებას იმედი აქვს, რომ სულ უახლოეს თვეებში იგი შესძლებს საგრძნობ შედეგების მიღწევას, მით უმეტეს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ამ საქმის მოსაგვარებლად საგრძნობი თანხა გადასდვა.

ნიხრი რძეზე.

სასურსათო განყოფილებამ „კრუჟკა“ რძეზე 15 მანეთი დაიწესა.

პურის ფასი.

სასურსათო განყოფილების პურის ბიურო იუწყება უკანასკნელ დღეებში არსებულ შემდეგ ფასებს: შავი ქერი 550 მან. ფუთი, თეთრი ქერი 700 მან.; ქერის ფქვილი—1150 მან; ხორბალი ფუთი 1300 მან; ფქვილი—1350—1850 სიმინდი ფუთი 1300 მან;

საქონელი ჩეხო-სლოვაკიიდან.

ბათომში მყოფმა ჩეხო-სლოვაკიის კონსულმა მიიღო რადიო დეპეშა იმის შესახებ, რომ ტრიესტიდან ბათომს წამოსულა გემი, რომელიც ჩეხო-სლოვაკიის საქონელით ყოფილა დატვირთული, სულ ელიან 175 ვაგონს საქონელს. გამოგზავნილ საქონელთა შორის არის: ჭურჭლეულობა, ლითონის სხვა და სხვა გვარი ნახელავი, ლურსმები, მინა, წამლეულობა, ქაღალდი, შეკერილი ტანისამოსი, შაქარი, ფეხსაცმელი, ფოლაქი და სხვ. ამ საქონლის სამაგიეროთ სურთ საქართველოდან გაიტანონ მარგანეცი, თუთუნი, სპილენძი და სხვ.

რკინის გზებზე

კეროსინი და მაზუთი სომხეთს.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა სომხეთის გზათა მიმოსვლის მინისტრს მიმართა შემდეგი განკარგულებით: იღებს რა მხედველობაში სომხეთის რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლის შეჩერებას, საქართველოს მთავრობა იმ მიზნით, რომ სომხეთის რკინის გზებს დახმარება აღმოუჩინოს, უთმობს სომხეთის რკინის გზას საჭირო კეროსინს და მაზუთს.

სადგური ტყიბული

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში აღიძრა საკითხი ტყიბულის სადგურზე რკინის გზელთა საცხოვრებელ ბინების აშენების შესახებ. საჭირო ბინების რაოდენობის გამოკვლევა სავანგებო კომისიას მინდობილი ჰქონდა. ამ ჟამად კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა და შეიმუშავა განსაკუთრებული გეგმა, რომელიც მან სამმართველოს წარუდგინა. ბინების ასაშენებლად გამოთხოვილია 2,679,000 მან.

რკინის გზის კურსები. რკ. გზის სამმართველოს ცნობით მოკლე ხანში გაიხსნება რკინის გზის კურსები, რკინის გზის აგენტების, სადგურის უფროსის თანაშემწეების, ხაზინადარების, ტელეგრაფისტების და სხ. მოსამზადებლად. კურსებზე მეცადინეობა 4—5 თვეს გაგრძელდება. კურსის დასრულების შემდეგ მიიღებენ სახაზინო სამსახურში. კურსებზე მიიღებენ ისეთ ახალგაზრდეებს, რომლებსაც საშუალო განათლებაზე ნაკლები არა აქვთ მიღებული. კურსებზე მსმენელთათვის საჭიროა ქართული ენის კარგად ცოდნა.

ტყეების დაცვა ცეცხლისაგან

ადამიანის ვერაგულად მომქმედი ხელიც ვერ მიაყენებს ტყეებს იმ ვნებას, ვერ მიიყვანს მათ იმ საშინელ განადგურებამდის, როგორ განადგურებამდის და ხშირად სრულ მოსპობამდის მიჰყავს ცეცხლს ტყეები!

გამძვინებულ და სტიოქონად გადაქცეულ ცეცხლს ტყეში ადამიანის სუსტი ძალა ვერ იმორჩილებს, ვერ სპობს მას მალე და ცეცხლი მთელი თვეობით ბატონობს ტყეში და ულმობელად ანადგურებს მას.

როცა უყურებთ ცეცხლით მოდებულ 200—300 წლოვან წერწეტა ნაძვის, თუ ფიჭვის ხეებს, რომლებიც ელვის სისწრაფით ესალმებიან წუთისოფელს, გულ-მოკლული, სასომიხდილი, გრძნობ შენ უძლურებას ცეცხლის ძლიერების წინაშე და უნებურათ განგებისგან მოელი შველას.

იწვება, ისპობა, ქვეყნის მშვენება—სიამაყე, დაუფასებელი საუნჯე და საფუძველი ჩვენი კეთილ-დღეობისა!

რამდენი ედემისებური კუთხე ჩვენი ტურფა სამშობლოსი გავერანებული; უდაბნოთ ქცეულა ცეცხლისაგან!

შორს არ წავალთ მაგალითისათვის, ქართლის სახელ-განთქმული წიწვწარი ტყეები: „საციციანო“, ახალციხის „წინუბანი“, აბასთუმნის „ორ-პირი“, ბორჯომის „გვირგვინა“ და სხვები 50—70 ათასი დესეტინა იმსხვერპლა ცეცხლმა და სრულიად გაანადგურა უკანასკნელ 15—20 წლის განმავლობაში. ეს დიდი საუნჯე ქვეყნისა მოსპეს პატრონებმა და გამგეებმა თავიანთი დაუდევრობით, ხალხმა კი თავისი შეუგნებლობით—უკულტურობით! ცეცხლი საშიშია უმთავრესად წიწვნარ ტყეებში, რადგან ისინი საუკეთესო მასალას წარმოადგენენ ცეცხლისათვის.

თუ გვინდა ცეცხლმა ტყე არ გაანადგუროს, საჭიროა მისი გაჩენა ტყეში დროზე გავიგოთ, სანამ იგი პატარა ადგილზე ბატონობს და მდგომიარე ხეებს არ უკიდია.

ხშირად კი, ჩვენ და სამწუხაროთ, ცეცხლის გაჩენას ტყეში ტყეების გამგე გვიან გებულობს, რადგან არა აქვს საშუალება ცეცხლის ადრე გაგებისა.

ცეცხლის გაჩენის ამბავს ტყეში ტყის გამგეს ტყის დარაჯი ატყობინებს, ბევრ სატყეოში, ზოგი დარაჯი გამგის ბინიდან 40—50 ვერსის მანძილზე სცხოვრობს, ასე რომ, სულ ცოტა ერთი დღე მაინც საჭიროა დარაჯისათვის რომ შეატყობინოს გამგეს, ერთი დღეც უკანაკნელისთვის, რომ სათანადო ზომები მიიღოს და ხალხი გამოიყვანოს ადმინისტრაციის საშუალებით ცეცხლის გასაქრობათ. ორი დღე მაინც გადის სანამ ცეცხლის ქრობას შეუდგებოდნენ, ამ დროს განმავლობაში კი ცეცხლი დიდ მოედანს იპყრობს და ძრიელდება. აშკარაა აქ დიდი ბნიშვნელობა აქვს დროს მოგებას; რამდენაც მალე, იქნება გაგებული ცეცხლის გაჩენა ტყეში და ზომები მიღებული ცეცხლის გასაქრობათ, იმდენად მცირე და უმნიშვნელოა იქნება ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი, რა საშუალებას უნდა მივმართოთ, რომ სულ მოკლე ხანში გავიგოთ ცეცხლის არსებობა ტყეში?

ერთად-ერთი საშუალება ტელეფონი.

15 წლის წინათ ბორჯომის მამულის საგარეველომ მოაწყო მამულში ტელეფონი, სხვათა შორის გაიყვანა მამულის მთების მწვერვალებზე „ლომის მთა“-ზე და „გვირგვინა“-ზე, საიდგანაც მთელი ბორჯომის ხეობა ისე სჩანს, როგორც ხელის გულზე.

ამ სიმაღლეებზე დასდგეს სადარაჯო სახლები, საიდგანაც დარაჯი შენიშნავს თუ არ ტყეში ცეცხლის ბოლს, მყისვე აცნობებს ტელეფონით იმ უბნის ტყის გამგეს, რომლის უბანშიაც შეამჩნია ცეცხლი.

გამგე დაუყოვნებლივ აგროვებს მცხოვრებლებს და მიეშურება ცეცხლის ჩასაქრობათ და ადვილად და მოკლე ხანში აქრობს ცეცხლს, რომელსაც ვერ მოუსწვრია განვითარება—გაძლიერებ.

ბორჯომის მამულში რაც ეს საშუალება იქნა შემოღებული, ცეცხლმა დაჰკარგა თავისი განმანადგურებელი ძალა და იგი არ წარმოადგენს მამულისათვის საშიშროებას.

ამ წლის თებერვალში ბორჯომში გამართულ ტყის გამგეების და ერობათა წარმომადგენლების ყრილობამ ერთხმად დაადგინა გაიმართოს ტელეფონი ამ მიზნისათვის ყველა რესპუბლიკის სატყეოებში და უწინარეს ისეთ სატყეოებში, რომლებიც შესდგებიან წიწვნარა ჯიშის ტყეებისგან, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს დადგენილება დარჩა მოლაპარაკებელს ხმად. კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი უზომო, უანგარიშოა, ტელეფონის გამართვის ხარჯები ამ ზარალთან შედარებით, სულ უმნიშვნელოა და არ წარმოადგენს სიძნელეს, თუ გინდ დღევანდელ პირობებშიაც კი. ამიტომ დიდ და მიუტოვებელ დანაშაულად ჩაგვეთვლება და პასუხის მგებელიც ვიქმნებით ქვეყნის და ჩვენი შთამომავლობის წინაშე, თუ კიდევ ჩვენის დაუდევრობით განადგურდა ქვეყნის სიმდიდრე და მშვენება. მივაქცევ მათ ყურადღებას რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამ საშუალების ცხოვრებაში გატარება.

ტყეებს გამგე **მ. მურვანიშვილი.**

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ

26 აგვისტოს, ღამის 11 საათზე, გიორგიევის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის ახლო ანდრია ავეტისას ძე ანდრიასოვს დახვდა უცნობი შეიარაღებული პარი და სიკვდილის მუქარით მოსთხოვა მას ფული. უკანასკნელს ფული რომ არ აღმოაჩნდა, ბოროტმომქმედმა წაართვა მას ოქროს ბეჭედი, საათი და მიმალა. მეორე მილიციის უბნის კომისარმა დ. კორშიამ მიიღო ენერგიული ზომები და კიდევად აღმოაჩინა დამნაშავე საგანგებო ბათალიონის გვარდიელი გრიგოლ იოსების ძე მენაღარაშვილი, რომელიც ანდრიასოვმა იცნო და კატეგორიულად განაცხადა, რომ დაპატიმრებული არის ნამდვილად ის პირი, რომელმაც ის გაძარცვა. მენაღარაშვილი დანაშაულში გამოტყდა გულწრფელად და ნაძარცვი ოქროს საათი და ბეჭედი წარუდგინა კომისარს. დამნაშავე გადაეცა საგანგებო ბათალიონის გვარდიის უფროსს.

— 10 ივლისს, ვარვარა ვასილჩენკომ განუცხადა სისხ. სამ. მილიციას მისი ბინიდან 22,000 მან. საოჯახო ნივთების მოპარვის შესახებ. სისხ. სამ. მილიციამ შესძლო მხოლოდ აგვისტოს დამლევს გამოეკვია, რომ ქურდობა მოახდინა პროფეს. ქურდმა ზედმეტ სახელად „ჩოპკამ“ მე-2 უბნის უმცროს მილიციელ გეგეჭკორის მონაწილეობით.

ერთი თვის უკან მცხოვრებმა მოსკოვის ქ. სახ. № 12, ალექპერ მამედ-ზადემ განუცხადა სისხ. სამ. მილიციას თავისი ბინის გაქურდვის შესახებ. სისხლ. სამ. მილიციამ გამოარკვია, რომ ეს ქურდობა ჩაიდინა ისევ იმ ზემოხსენებულმა „ჩოპკამ“. უმეტესი ნაწილი ნივთებისა ჩაბარდა პატრონს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 23 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ივანე გიორგის ძე ტერპუიკიდისმა 2500 მან. მიჰყიდა სოფ. აბგარხუკის მცხოვრ. გუდაუთის მაზრისა ბასიათ ჩახმატის ძე აგირბას და კამშიშ სულეიმანის ძე აგრბას მიწის ნაჭერი, ზომით 98 ოთხკუთხ. საჟ. მდებარე ქ. გუდაუთში, უბ. № 14, № 3-ით და ძველი გეგმით № 2 ით. 2396 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 ივლისს 1920 წ. სოხუმის ოლქის საქმეთა ნუსხაში, 23 ნაწილში № 1120 მე-193 გვერდზე აღნიშნული შესრულებულია ოჩემჩირის ნოტარიუსის მიერ გრიგოლაიას მიერ მიცემული სიგელი 1920 წ. აპრილის 5 დღეს № 2-ით, რომლითაც ქ. ოჩემჩირის მცხოვრ. დიმიტრი მისოუსტის ძე მარშანიამ საჯარო ვაჭრობით შეიძინა უძრავი ქონება კუთვნილი ქაისრო ალექსანდრეს ძე მახარაძის მდებარე ქ. ოჩემჩირეში, გუპსკის და ნაბერეჟნაია ქუჩების კუთხეში, რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს შენობებით ზომით 375 ოთხკუთხ. საჟ. 2396 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 14 ივლისს 1920 წ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში სოხუმის ოლქისა მე-49 ნაწილში, № 2097, მე-187 გვერდზე აღნიშნულია აღმასრულებული ფურცელი ოჩემჩირის უბნის მომრიგებელ მოსამართლის 24 ივანობისთვის 1920 წ. № 1116 მამულზე, რომელიც შეიძინა ქ. ოჩემჩირის მცხოვრ. აკულინა ბახვას ასულმა გუგუშვილმა და რომელიც ეკუთვნოდა ბახვა კონსტანტინეს ძე ჩაჩიბაიას მდებარე ქ. ოჩემჩირეში ვოსკრესენსკაია და არმიანსკაია ქუჩების კუთხეში, უბ. № 55 შეადგენს მიწის ნაჭერს № 2-ით ზომით 360 ოთხკ. საჟ. შენობებით. 2397 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. იანვრის 24 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია სოფ. წყნეთის ტფილისის მაზრის მომხმარებელი საზოგადოება „შრომა“ 0460 1—1

ტფილისის მე11-ტე საბოქაულო უბნის სასამართლოს ბოქაული არგუტინსკი-დოლგორუკოვი აცხადებს, რომ 1920 წ. სექტემბრის 21-სა დანიშნული აქვს საჯარო ვაჭრობა დილის 10 საათზე, გურგენ კოლმანიანცისა და აშოტ ტერ-მიკიშოვისა მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა მანქანებს ელექტრონის სადგურის „სირიუსი“-სა. ქონება იყიდება სიმონ ზაქარიას ძეს ტამამშოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, და დაფასებული არის 1685000 მან. რა ფასიდანაც დაიწყობა ვაჭრობა. ვაჭრობა მოხდება მე-8 სამილიციო უბანში, ამატუნიევის ქუჩ. და არსენალის შოსეს კუთხეში № 33/45, სადაც ვაჭრობის მსურველთ შეუძლიანთ ნახვა საჯარო ვაჭრობის დღეს. (იბეჭდება განმეორებით რადგანაც პირველად შეცდომით დაიბეჭდა. რედ.) 2495 1—1

დაიკარგა პასპორტი ანდრია ბასილის ძე იმერლიშვილის სახელზე, მიღებული ს. შილდოს (კახეთი) კომისარისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2489 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, მეტრიკული მოწმობა და პარსელ გაბრიელის ძე პალელიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2491 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. თებერვლის 25 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“. 0455 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. თებერვლის 3 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ აქვთ დასახული შეტანილია მაჰმადიან ქართველთა დამხმარე საზოგადოება. 0458 1—1

ტფილის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1020 წ. თებერვლის 3 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობითი ნუსხაში შეტანილია მომხმარებელი კოოპერატიულ ამხანაგობა „საბაჟო“ 0457 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. აპრილის 6 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ აქვს დასახული,- შეტანილია „ტფილისის წრე“ 0456 1—1

დაიკარგა ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და პატენთი, მიღებული ხაზინიდან ასვაცატურ გაბრიელის ძე პალელიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2492 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. მარტის 17 დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების აღება არ აქვს დასახული შეტანილია საქართველოს ეკონომიურ საზოგადოება. 0454 1—1

სოგუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 14 ივანობისთვეს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში, 49 ნაწილში № 2094, მე-178 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული ოჩემჩირის ნოტარიუსის გრიგოლიას მიერ მიცემითი სიგელი 1920 წ. ივლისის 9 დღესა, № 8-ით, რომელთაც ქ. ოჩემჩირის მცხოვრ. კოსტა პეტრეს ძე ქორქიამ შეიძინა უძრავი ქონება კუთვნილი ქ. ოჩემჩირისა მდებარე ქ. ოჩემჩირეში, ტკვარჩელის ქუჩ. უბ. № 8 რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს ზომით 355,2 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 2397 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1920 წ. იანვრის 24 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში შეტანილია მეზილეთა კოოპერატიული ამხანაგობა „ლიახვი“ 0459 1—1

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲒᲐ.

ამით აცხადებს რომ ოცდათერთმეტ აგვისტოს მის სადგომში (რუსთავილის ქ. № 6.) 1 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა სოფელ ხაშმში ოთხ თვალიანი წყლის მომუშავე წისქვილის იჯარით გადასაცემათ.

მსურველთ შეუძლიანთ წერილობითაც განაცხადონ თავისი ფასი. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საწინდარი 25000 მან. უნდა იყოს წარმოდგენილი. დაწვრილებით ცნობები ერობის სატეხნიკო განყოფილებაში მიეცემათ 1—2 საადამდის. 2451 2—2

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

რადგან ძალიან ბევრი შეგროვდა ფოთის სადგურზე შავი ქვით დატვირთული ვაგონები და დროზე არ იყიდება პატრონების მიერ 27 აგვისტოდან შეცვლამდე, თანახმად ბ. გზათა დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებისა ფასი ვაგონების გაცდენის გადიდებულია სამასი მანეთიდან ათას მანეთამდე. დღე და ღამეში. 865 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 101 მიღებული სამტრედიის მილიციის უფროსის სამმართველოდან, მეტრიკული ამონაწერი № 51, მიღებული სოფ. საჭილაოს ეკლესიიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა, № 8202, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ვასილი ლევანის ძე ჯონჯალიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2455 3—3

ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲛᲠᲔᲜᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ.

სხდომა შესდგა 25 სექტემბერს 1920 წ.

მოისმინეს:

4. იტალო-კავკასიის გამნაღდებელ ბანკის დაარსების საქმე.

დაადგინეს:

ა) პრინციპიალურად სასურველად იქმნას ცნობილი დაარსება საქართველოში იტალო-კავკასიის განმანაღდებელ ბანკისა.

ბ) საკმაოდ იქმნას მიჩნეული ოპერაციების დასაწყებად ძირითადი თანხა 10.000.000 მ.

გ) უძრავ ქონების შეძენის უფლება სასტიკად იქმნას შეზღუდული და ბანკს ნება ჰქონდეს შეიძინოს მხოლოდ იმდენი ქონება, რაც თვით მის საქმეთათვის იყოს საჭირო; უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვა—კი საზოგადოდ არ შეიძლება ნება დართულ იქმნას.

დ) ნება მიეცეს ბანკს საქონლის სყიდვა-გაყადვისა ცალკე, განსაკუთრებულის თანხით, რომლის რაოდენობა მან წინასწარვე უნდა განსაზღვროს და აცნობოს ფინანსთა მინისტრს.

ე) სავალდებულოდ იქმნას ცნობილი, რომ ზოგადი რაოდენობა ანაბარად მიღებულის ფულისა ბანკის ძირითადს თანხას სამჯერ მეტად არ აჭარბებდეს.

ვ) ცნობილ იქმნას, რომ ცენტრალი გამგეობა ბანკისა რომში პასუხის-მგებელია იტალო-კავკასიის ბანკის ყველა ოპერაციებისათვის.

ზ) ცნობილ იქმნას, რომ ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს მოითხოვოს, რათა ბანკმა გადარიცხოს საერთო ხარჯ-გამოურიცხველ მოგებიდან უწყებული პროცენტი ბანკის სათადარიგო თანხაში ოპერაციების განვითარების თან და თანობისამებრ. 849 1—1

საჩქარმწიოლი სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი